


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 38 (6349)

1979 წ. 24 თებერვალი. შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




## დაწინაურდნენ მასპინძლები

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობის ზონალურ ტურნირში, რომელიც თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში მიმდინარეობს, VI და VII ტურების შეხვედრები გაიმართა.

ამიერკავკასიელმა მოჭადრაკეებმა გაიმარჯვეს VI ტურის მატჩში ბელორუსელ კოლეგებთან — 5:2. ნ. გაფრინდაშვილმა დაამარცხა დიდოსტატი ქ. ზვორიკინა, გ. ალიხანაშვილმა — ნ. მეხტეისი, ს. ჩეჩელიანმა — ოსტატი მ. შერეშევსკი, ს. ლპუტიანმა — ოსტატი ს. იუფეროვი, დაზავდნენ გ. გრძელიშვილი — ა. ლიუცკო.

სხვა მატჩების შედეგები: ბალტიისპირეთი — მოსკოვი (საჰაერო თავდაცვა) 3,5:3,5, მოსკოვი—ბაქო (საჰაერო თავდაცვა) 4:3, ჩრდილო კავკასია — კიევი 4,5:2,5.

VII ტურში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდმა სძლია მოსკოვის საჰაერო თავდაცვის მოჭადრაკეებს — 5:2. გაფრინდაშვილმა მოუგო ნ. ფურმანს, ჩეჩელიანმა — ა. შვედკოვსკის, ა. იზვოზჩიკოვმა — ბ. შაშინს, გრძელიშვილმა — ს. ტერტერიანს. ალიხანაშვილი დამარცხდა ნ. ლაპინსკასთან. ყაიმზე შეთანხმდნენ ლპუტიანი — ა. დონჩენკო და რ. კორსუნსკი — ვ. ტიტენკო.

ბაქო (საჰაერო თავდაცვა) — ჩრდილო კავკასია 3,5:3,5, ოდესა — ბალტიისპირეთი — 3:4, მოსკოვი — ბელორუსია 4:3.

7 ტურის შემდეგ დაწინაურდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდი — 28,5 ქულა, ოდესის სამხედრო ოლქის მოჭადრაკეებს 27 ქულა აქვთ, მოსკოვის არმიელებს — 25.

**ო. ალხანიშვილი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**

* * *

**სურათებზე: ოდესის სამხედრო ოლქის გუნდის წევრი, დიდოსტატი ვ. ტუკმაკოვი; გ. ალიხანაშვილი (ზევით).**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## მოელიან ა. კარპოვს

25 თებერვალს მიუნხენში დაიწყება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს. საქმე ისაა. რომ მასში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონი ა. კარპოვი, რომელსაც ბაგიოს მატჩის შემდეგ არსად უთამაშია.

მიუნხენში ითამაშებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბ. სპასკი, ი. ბალაშოვი (ორივე — სსრ კავშირი), ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), უ. ანდერსონი (შვეცია), ე. მაილსი (ინგლისი), ლ. კავალეკი (აშშ), ქ. რობაჩი (ავსტრია), ვ. უნციკერი, რ. ჰიუბნერი, გ. პფლეგერი (ყველა — გფრ), ს. მარიოტი (იტალია) და სხვები.

— ეს იქნება ჩემი პირველი ტურნირი „ზამთრის არდადეგების“ შემდეგ, — თქვა მსოფლიოს ჩემპიონმა, — იგი 16 მარტს დამთავრდება. აპრილში მიწვეული ვარ სათამაშოდ კანადაში ორწრიან საერთაშორისო ტურნირში. იქ ჩემთან ერთად იასპარეზებენ მიხეილ ტალი და ბორის სპასკი. ზაფხულში მონაწილეობას მივიღებ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეშვიდე სპარტაკიადაში.

## გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო ფიზიკური კულტურის ქალაქად!

ამას წინათ ერთი საკავშირო გაზეთი წერდა: თბილისში სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების იმდენი ჩემპიონი ცხოვრობს, ბარე ორ თუ სამ მსგავს ქალაქს ეყოფა საამაყოდო.

ეს ამბავი, რა თქმა უნდა, თავისთავად სასიამოვნოა და ღმერთმა ქნას, გამოჩენილ სპორტსმენთა რიცხვი გვემრავლოს. მაგრამ ახლა ასეთი კითხვა დავსვათ: რამდენი ფიზკულტურელი ცხოვრობს თბილისში, მილიონიან ქალაქში? რაც მართალია, მართალია — ამ მხრივ სატრაბახო ბევრი არაფერი გვაქვს და დიდი მუშაობა გვმართებს, საქმე ნაწილობრივ მაინც რომ გამოსწორდეს.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის XXXVII კონფერენციაზე პრინციპული საუბარი გაიმართა ქალაქის მოსახლეობის შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების აუცილებლობაზე, დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ საჭირბოროტო პრობლემის გადაჭრისთვის.

ბუნებრივია, მშრომელთა სრულფასოვანი დასვენების ორგანიზაციაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობას უჭირავს. უამრავი მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ წარმოება-დაწესებულებაში, სადაც ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დგას, იზრდება შრომისნაყოფიერება, შესაბამისად კლებულობს კადრების დენადობა, დისციპლინის დარღვევისა და მუშა-მოსამსახურეთა ავადმყოფობის შემთხვევები. დღესავით ნათელია, რომ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში თითოეულ ადამიანს, დიდსა და პატარას, ერთნაირად ესაჭიროება ფიზიკური კულტურა და სპორტი, ტურიზმი, აქტიური დასვენება, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც სიჩაუქესა და სიმხნევეს მატებს, ალაღებს და აკაჟებს ჩვენს სულსა და სხეულს.

ეს ჭეშმარიტება კარგად იციან **თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში.** ამიტომაა, რომ ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, სპორტკლუბ „განთიადის“ გამგეობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გასაჩაღებლად. მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისთვის. ქარხანაში ყოველი სამუშაო დღე ტანვარჯიშით იწყება. ამ საქმეს საწარმოო ტანვარჯიშის სამი შტატიანი ინსტრუქტორი ემსახურება. საამქროებსა და განყოფილებებში სისტემატურად ეწყობა მშდ-ს მრავალჭიდის შეჯიბრებები, ტურისტული ლაშქრობები და სხვა მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

ქარხანაში ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას გეგმავს და წარმართავს სპორტკლუბი „განთიადი“, რომელიც 25 წლის წინათ შეიქმნა. რა თქმა უნდა, თავიდან წინააღმდეგობები ბევრი იყო — სპორტკლუბს არ გააჩნდა აუცილებელი სპორტული ბაზები და ინვენტარ-აღჭურვილობა, მაგრამ მერე და მერე ენთუზიაზმმა და საქმის სიყვარულმა ნაყოფი გამოიღო: მალე სპორტკლუბი „განთიადი“ დედაქალაქის ერთ-ერთი მოწინავე სობრიობას ვგულისხმობთ, თორემ გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსი მარტო სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობითა და თანრიგოსანი სპორტსმენების აღზრდით როდი განისაზღვრება. ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისთვის თვალსაჩინო მიღწევების მოპოვება თვითმიზანი არასოდეს ყოფილა — მაღალი კლასი და ოსტატობა ლოგიკური შედეგია მიზანდასახული, გეგმაზომიერი პროცესისა, რომელსაც ისევ და ისევ მასობრიობა კვებავს.

— მუშა, რომელიც დაზგასთან დგას და ქვეყნისთვის საჭირო საქმეს აკეთებს, შეიძლება დიდი სპორტსმენი ვერ გახდეს, — ამბობს სპორტკლუბ „განთიადის“ გამგეობის თავმჯდომარე **უშანგი შევარდნაძე,** — მაგრამ ფიზკულ-

## ორი კოლექტივის ნაირსახეობა

ფიზკულტურული ორგანიზაცია გახდა.

ახლა დიმიტროველთა განკარგულებაშია ოთხდარბაზიანი სპორტის სასახლე, კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, ფეხბურთის სტადიონი, მძლეოსნური სექტორი, საცურაო აუზი... მუშაობს ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშისა და ფეხბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლები, სადაც 600-მდე ბავშვი (ძირითადად ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილები) მეცადინეობს. აქაურ ტანმოვარჯიშეთა წარმატება საყოველთაოდ ცნობილია — მომზადდა 26 სპორტის ოსტატი და 39 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, მათ შორის საუკეთესო ნინა დრონოვა მსოფლიოს ჩემპიონატში და მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულია. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს განთიადელმა ფეხბურთელებმაც, რომლებსაც გამოცდილი სპეციალისტები — ალექსანდრე კოტრიკაძე, ანდრო ზაზროევი და ვახტანგ რამიშვილი ავარჯიშებენ.

რა თქმა უნდა, როცა შრომით კოლექტივში მიმდინარე ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში, მატურელი შეიძლება იყოს ყველა ჯანმრთელი ადამიანი. ჩვენი საქმიანობაც სწორედ იქითკენაა მიმართული, რომ ქარხნის არც ერთი მუშა და მოსამსახურე ფიზკულტურისა და სპორტის გარეშე არ დარჩეს. რა თქმა უნდა, სიძნელეებიც ბევრი გვაქვს, მაგრამ, როცა საერთო საქმისთვის ყველა ერთად იღვწის, წარმატება უსათუოდ მოვა. ჩვენ დიდ დახმარებას ვგრძნობთ ქარხნის ხელმძღვანელობისგან და ვცდილობთ ყოველდღიურ ყურადღებას საქმით ვუპასუხოთ. იმ მრავალფეროვანი საქმიანობის მხარდამხარ, რასაც უშუალოდ ქარხანაში ვეწევით — საწარმოო ტანვარჯიში, სექციური მუშაობა სპორტის სახეობების მიხედვით, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სპარტაკიადების ჩატარება — არც საცხოვრებელ ადგილებს ვივიწყებთ. ჩვენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიკრო-რაიონში 16000-მდე ადამიანი ცხოვრობს. ბუნებრივია, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა ამ უბანზეც აუცილებელია. საბინაო-საექსპლოატაციო განყოფილე-

(დასასრული მე-2 გვ.).

## „დედოფალი“ ზამთარში

### მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატის წინ

დღეს ვენაში სტარტს აიღებს კონტინენტის მძლეოსანთა X საიუბილეო ზამთრის ჩემპიონატი, რომელშიც 25 ქვეყნის 300-ზე მეტი ათლეტი იასპარეზებს. სპორტსმენები ჯილდოს გაითამაშებენ მძლეოსნობის 19 სახეობაში (11-ში ვაჟები, 8-ში ქალები).

ამ შეჯიბრებისადმი თვით სპორტსმენთა დიდ ინტერესზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მონაწილეთა შორის მსოფლიოს 12 რეკორდსმენია. მათგან ორი საბჭოთა სპორტსმენია: 20 წლის ზაპოროჟიელი სიმაღლეზე მხტომელი ვ. იაშჩენკო და მისი თანატოლი, მინსკელი სამხტომელი გ. ვალიუკევიჩი, რომელმაც წლეულს „თვით“ ვ. სანეევის მსოფლიო მიღწევა გააუმჯობესა.

ჩემპიონატი დიდ ინტერესს იწვევს, აგრეთვე, სპორტის მოყვარულებში. შეჯიბრების ორგანიზატორთა ვარაუდით „პრატერ-შპორტჰალეს“ ტრიბუნებზე 10 ათასზე მეტი მაყურებელი მოიყრის თავს, ხოლო უძლიერეს მძლეოსანთაასპარეზობას ტელევიზიით ევროპის და ოკეანისგაღმელი მილიონობით ადამიანი ნახავს.

ყველაფერი ეს შემთხვევითი არ არის. დახურულ დარბაზებში მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელთა აუცილებლობა და სარგებლიანობა ახლა ცხადი გახდა, უკვე რამდენიმე წელია მოციგურავეების, მოთხილამურეებისა და ჰოკეისტების დიდ ტურნირებთან ერთად სპორტული ზამთრის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ასპარეზობაა.

დახურულ დარბაზებში შეჯიბრებას თავისი სპეციფიკა აქვს. მაგალითად, მორბენლები სტანდარტულთან შედარებით მოკლე ბილიკებზე ასპარეზობენ. ყველა „მოქცეული პირის“ მაყურებელთან სიახლოვე ქმნის არაჩვეულებრივ, მხოლოდ ზამთრის სტარტებისთვის დამახასიათებელ ემოციურ ატმოსფეროს. სწორედ ამით აიხსნება დახურულ დარბაზებში მძლეოსანთა მიღწევების საოცარი პროგრესი. „პრატერ-შპორტჰალეში“ შესაძლოა გაუმჯობესდეს ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომასა და სამხტომის ოსტატთა მიღწევები, რამდენადაც ჯერ კიდევ ოლიმპიურ მონრეალში ქალები ორმეტრიან ზღვარს უტევდნენ, ხოლო სამხტომში, მსოფლიოს ახალი რეკორდსმენის გ. ვალიუკევიჩის აზრით, ვენაში შეიძლება 17,40-17,50 მეტრზე გადახტომა.

დახურულ დარბაზებში მძლეოსნები უფრო წარმატებით გამოდიან, ვიდრე ზაფხულში. მაგალითად, ვ. იაშჩენკოს მსოფლიო მიღწევა დარბაზებისთვის სიმაღლეზე ხტომაში (2,35) სანტიმეტრით სჯობს მისივე „ზაფხულის“ რეკორდს. ჩეხოსლოვაკიელმა ბირთვის მკვრელმა ჰ. ფიბინგეროვამ 4-კილოგრამიანი ბირთვი დარბაზში 22,50 მეტრზე გაგზავნა, ხოლო სტადიონზე მისი მსოფლიო რეკორდი 22,32-ს უდრის.

ევროპის ზამთრის პირველ ოფიციალურ ჩემპიონატთან (სხვათა შორის ისიც ვენაში გაიმართა) შედარებით შედეგები განსაცვიფრებლად გაუმჯობესდა პროგრამის თითქმის ყველა სახეობაში. პირველ პირველობაში 800 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ავსტრიელმა შ. სიკორამ 2.07,0, ხოლო წლეულ ზამთარში უ. ხოფმა (გფრ) მსოფლიოში პირველად ეს მანძილი დაფარა 2 წუთზე ნაკლებ დროში (1.59,9).

(საქინფორმი)

# ორი კოლექტივის ნაირსახეობა

დასასრული

ბისა და სახლმმართველობების მესვეურებმა საცხოვრებელ კორპუსებთან მშვენიერი სპორტული კომპლექსები და მარტივი ტიპის მოედნები მოაწყვეს. კეთილი სიტყვებით გვინდა მოვიხსენიოთ, აგრეთვე, საბინაო-საექსპლოატაციო განყოფილების სარემონტო-სამშენებლო საამქრო, რომელიც უშუალოდ აწარმოებდა მუშაობას. როგორც ხედავთ დღეს ჩვენს მშრომელებს, მათ შვილებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი, რომ, როგორც ქარხანაში, ისე საცხოვრებელ ადგილებზე მისდიონ ფიზკულტურასა და სპორტს, გაიკაჟონ ჯანმრთელობა.

* * *

სამწუხაროდ, ფიზკულტურა და სპორტი დედაქალაქის ყველა წარმოება-დაწესებულებაში საჭირო ყურადღებით როდი სარგებლობს. ჩვენი გაზეთი არაერთხელ წერდა, რომ **მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“** მივიწყებულია ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, სისტემატურად არ ტარდება საწარმოო ტანვარჯიში, სექციური მეცადინეობები. ამ საკითხზე რესპუბლიკის სპორტკომიტეტმაც მიიღო სათანადო დადგენილება, მაგრამ კომბინატში ბევრი არაფერი შეცვლილა.

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი ერთ-ერთი სოციალური სიკეთეა, რომელიც საბჭოთა წყობილებამ ხალხის საკუთრებად აქცია, მშრომელთა ჯანმრთელობის სამსახურში ჩააყენა და ამდენად, არავის არა აქვს უფლება ადამიანებს მოაკლოს იგი. აქ პირველ რიგში წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელმა მუშაკებმა უნდა გამოიჩინონ საჭირო ინიციატივა და მხარდაჭერა, გულთან ახლოს უნდა მიიტანონ მშრომელთა გაჯანსაღების საქმე, თორემ რა გამოდის — ზემდგომი ორგანოები დადგენილებებს იღებენ, ჩამორჩენის, დაძლევის გზებს სახავენ, ადგილზე კი ზოგჯერ მათი განხორციელებისთვის არაფერი კეთდება.

დროა მაუდ-კამვოლის კომბინატის ხელმძღვანელობამ, სპორტკლუბ „ივერიის“ გამგეობამ, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ჯეროვანი ყურადღება დაუთმონ კომბინატის მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის საკითხებს.

**ლ. წიკლაური.**

— წყალბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმზე —

# ხელმძღვანელი თვითონ უნდა იყოს სანიმუშო

ამას წინათ თბილისში გამართულ წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში ჩვენმა დინამოელებმა გულშემატკივრებს ერთგვარი იმედი აღუძრეს: მასპინძლებმა 10-დან 8 ქულა მოაგროვეს. სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადების გადამწყვეტ ეტაპზე რესპუბლიკის პირველი გუნდის ასეთი სტარტი უდავოდ მწვრთნელებისა და სპორტსმენების მონდომებულ მუშაობაზე მიგვანიშნებს...

სწორედ საქართველოში წყალბურთის დღევანდელ მდგომარეობაზე იყო ლაპარაკი წყალბურთის რესპუბლიკური ფედერაციის მორიგ საანგარიშო-საარჩევნო პლენუმზე, რომელიც თბილისში ჩატარდა. ფედერაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი წყალბურთსა და წყალში ხტომაში **მ. ქართველიშვილი.**

მან აღნიშნა, რომ ფედერაციის რეკომენდაციით სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ფიზკულტურის ინსტიტუტში დაინერგა წყალბურთი, ჩატარდა მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები, ფიზკულტურის ინსტიტუტის წყალთა სახეობების კათედრაზე გაიხსნა წყალბურთის სპეციალიზაცია. საანგარიშო პერიოდში საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩაირიცხა სპორტის ოსტატი მ. გიორგაძე, ხოლო ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებში — ოსტატი გ. ტუკვაძე და ოსტატობის კანდიდატები თ. კუტივაძე, დ. გვახარია. შარშან ევროპის ჩემპიონები იუნიორთა შორის გახდნენ გიორგაძე და ტუკვაძე...

მაგრამ **ფედერაციის მუშაობა სერიოზული ხარვეზებით ხასიათდებოდა.** ეს აფერხებდა რესპუბლიკის ნაკრებისთვის ღირსეული კანდიდატების მომზადებას. დაბალი იყო ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფების საქმიანობისადმი კონტროლი, რის გამო გასულ წელს მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს გუნდმა VII ადგილი დაიკავა — წინ გაუშვა ხალხთა სპარტაკიადაში ჩვენი მთავარი კონკურენტები — ყაზახეთისა და უზბეკეთის გუნდები.

ითქვა, რომ სპორტის ამ სახეობაში **საგრძნობი ჩამორჩენაა აფხაზეთში. სოხუმში თითქმის ორი ათეული წელია ჭიანურდება დოსააფის აუზის გათბობის სამუშაოები, არა ჰყავთ მწვრთნელთა კადრები.** ბავშვებთან მუშაობს მხოლოდ ნ. შავგენია, მაგრამ არახელსაყრელი პირობების გამო მის გარჯას ნაკლები უკუგება აქვს.

ბოლო სამი წელია **ბათუმმაც დათმო პოზიციები.** აქ ბაზებით შედარებით უზრუნველყოფილნი არიან, მაგრამ ეს ქალაქი რესპუბლიკას ვერ აძლევს სათანადო შევსებას. **ცუდად მუშაობენ სპორტსაზოგადოებათა ჯგუფები.** „ვოდნიკმა“ მხოლოდ შარშან დაიწყო წყალბურთის განვითარებაზე ზრუნვა.

სასიამოვნოა, რომ რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში, ქუთაისში, ნაყოფიერად იღვწიან ნიჭიერი ბავშვების გამოვლენისა და აღზრდისთვის. ამ ქალაქმა მარტო რესპუბლიკას კი არა, სსრ კავშირის ნაკრებსაც რამდენიმე ძლიერი სპორტსმენი მოუმზადა. „განთიადის“ სამაბაზანიანი აუზი, სამწუხაროდ, ცუდად თბება — ელექტრომექანიკური ქარხნის საქვაბე ორი დიდი ობიექტის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ეს აფერხებს ბაზის ზამთრობით მაქსიმალურად გამოყენებას. მართალია, საქართველოს პროფსაბჭომ გამოყო სახსრები აუზისთვის საქვაბეს ასაგებად, მაგრამ იგი მხოლოდ მომავლისთვის ჩადგება მწყობრში.

რესპუბლიკაში წყალბურთის განვითარების მთავარ ცენტრად მაინც თბილისი რჩება. **ყველაფერი რიგზე კი არც აქაა. ბავშვთა აღზრდის ძირითადი ბაზა — განათლების სამინისტროს სპორტსკოლის 6 ჯგუფი ისედაც მცირე ძალაა, მუშაობის ნორმალური პირობები კი ამ ჯგუფებსაც არა აქვთ:** წყალბურთელებისთვის სკოლის ბაზაზე მხოლოდ საათნახევარია გამოყოფილი და ისიც ისეთ დროს, როცა მოზარდებს მეცადინეობაზე დასწრება უჭირთ. არ აქვთ „მშრალი ცურვის“ დარბაზი, აუცილებელი ინვენტარი.

მ. ქართველიშვილმა თქვა, რომ წყალბურთი საზოგადოება „დინამოს“ ერთ-ერთი საყრდენი სახეობაა. სტადიონის რეკონსტრუქციის დამთავრების მერე მის აუზში ჯგუფების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ სწავლების ხარისხი კვლავ დაბალია. **საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო აქამდე არ შედგომია საკავშირო სპორტკომიტეტის შარშანდელი თებერვლის გადაწყვეტილების შესრულებას — წყალბურთის ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფებისთვის საკმარი დრო კვლავ არ არის გამოყოფილი.**

„ლოკომოტივის“ აუზში ვიდრე მწვრთნელი ლ. კრილოვი მუშაობდა, ჯგუფების საქმიანობა ნაყოფიერი იყო, საზოგადოების ჭაბუკთა გუნდი შესანიშნავად გამოდიოდა საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში — კარგ რეზერვს აძლევდა „ა“ კლასის კოლექტივებს. მაგრამ მერე ჯგუფებმა არსებობა შეწყვიტეს. შარშან საქართველოს სპორტკომიტეტი ჩაერია საქმეში, „ლოკომოტივის“ წყალბურთის ჯგუფებს სათავეში ჩაუყენა ბ. მარგიევი და საქმეც ადგილიდან დაიძრა.

„ბურევესტნიკში“ სპორტის ეს სახეობა 23 წლის წინ დაინერგა. საზოგადოებას „ა“ კლასში ჰყავდა გუნდი, რომელიც რესპუბლიკის პირველ კოლექტივს მუდამ აძლევდა რეზერვს, მაგრამ შარშანწინ „ბურევესტნიკი“ „ა“ კლასის I ლიგას გამოეთიშა. მიზეზი ის გახლდათ, რომ უნივერსიტეტში, ფიზკულტურისა და სხვა ინსტიტუტებში ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფები არ მუშაობენ.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო რესპუბლიკის პირველი გუნდის, თბილისის „დინამოს“ მაჩვენებლებს. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის გუნდის მზადების ამოცანებს.

ქუთაისელ წყალბურთელთა უფროსმა მწვრთნელმა **დ. ხორავამ** ილაპარაკა ქალაქში სპორტის ამ სახეობის პერსპექტივებზე, მუშაობაში არსებულ ხელშემშლელ პირობებზე. თქვა, რომ გადაწყდა აუზთან საკუთარი საქვაბის აგება, მაგრამ საქმეს აფერხებს მასალების უქონლობა. სპორტსაზოგადოებები ჯგუფების რიცხვის გამრავლებისთვის არ ზრუნავენ. ბავშვთა და მოზარდთა დაოსტატებისთვის ესოდენ საჭირო შეჯიბრებები არ ეწყობა, ნაკლები ყურადღება ექცევა წყალბურთში მომუშავე სპეციალისტების წახალისებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა საწყლოსნო სახეობების სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგე **რ. ცომაია** გულისტკივილით ლაპარაკობდა თბილისში, საირმის ქუჩაზე მდებარე აუზის არარიტმულ მუშაობაზე. ეს ბაზა, კაპიტალური შეკეთების შემდეგ, როგორც იყო 25 სექტემბერს ჩადგა მწყობრში და ახლაც შეფერხებით მუშაობს: მექანიზმების უკმარობის გამო აბაზანები სამი თვეა არ გაწმენდილა, წყალს იშვიათად ცვლიან. წყალბურთის მწვრთნელებს არა აქვთ მუშაობის სათანადო პირობები, რადგან უკმარია გასახდელების რაოდენობა, განათება და სხვ.

საქართველოს ნაკრებისა და „დინამოს“ მწვრთნელმა **ვ. სანაძემ** აღნიშნა, რომ **მწვრთნელები ხეირიანად არსებულ ბაზებსაც ვერ იყენებენ.** „დინამოს“ აუზზე ადრე არაერთი შესანიშნავი ოსტატი აღიზარდა, ახლა ეს ტრადიცია დაიკარგა. სპორტსაზოგადოებების გუნდების უმოქმედობა აფერხებს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარებას.

**ვ. გოიაშვილი** (ლენინური კომკავშირის სახელობის თბილისის საწყლოსნო კომპლექსის დირექტორი): სპორტული ბაზების აგება სერიოზულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ამიტომაც რესპუბლიკის მთავრობა ამ მიმართებით ზრუნვას არ გვაკლებს, მაგრამ მხოლოდ ბაზები როდი კმარა არსებულ ნაგებობებს სრული დატვირთვით რომ ვიყენებდეთ. მწვრთნელები მონდომებით რომ მუშაობდნენ, დღევანდელი სავალალო მდგომარეობა არ გვექნებოდა. მალე ჩვენი აუზი [illegible] ამოქმედდება, აქ [illegible] ვის სურვილი [illegible] წყალბურთის არც ერთ ჯგუფს არ გამოუთქვამს(!). სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის ზრუნვით სპორტსაზოგადოებების უმეტესობა თავს არ იწუხებს და ეს დღევანდელი ფედერაციის პლენუმიდანაც ჩანს — მის მუშაობაში თითქმის არც ერთი საზოგადოების თავმჯდომარე, მისი მოადგილე არ მონაწილეობს...

**ნ. შავგენია** (სოხუმის „დინამოს“ მწვრთნელი): ადრე სოხუმში უკეთესი პირობები როდი იყო, მაგრამ წყალბურთი გვქონდა, ვინაიდან ჯგუფები ყველა საზოგადოებაში მუშაობდა. ახლა აფხაზეთში სულ 3 ჯგუფია და ისიც მხოლოდ სოხუმში. უცნაურია „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „სპარტაკის“ საბჭოების გადაწყვეტილება წყალბურთის ჯგუფების გაუქმების შესახებ...

მან სინანულით თქვა, რომ **მეთოდური ლიტერატურა პერიფერიებამდე ვერ აღწევს, იქაური სპეციალისტები ვერ გებულობენ რა ცვლილებები ხდება წვრთნის მეთოდიკაში, თამაშის წესებში და სხვ.**

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა **ზ. ჩაჩავამ** განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მოზარდებთან უკმარ მუშაობას, იმას, რომ წვრთნა მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკით უნდა ტარდებოდეს. **აუცილებელია ბავშვებთან სამუშაოდ რაც შეიძლება მეტი ვეტერანი წყალბურთელი მივიზიდოთ.** ჩაჩავას საჭიროდ მიაჩნია „დინამოს“ სარეზერვო გუნდის შექმნა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა, აგრეთვე, „დინამოს“ წყალბურთელი **ვ. იხელიძე**, რომელმაც მთავარი ყურადღება დაუთმო ახალგაზრდა კადრების შერჩევაში, დაშვებულ შეცდომებს.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ს. ჯაიანმა.** მან თქვა, რომ ფედერაცია მოწოდებულია ფართოდ გაშალოს მუშაობა ყველგან. გააკრიტიკა სპორტსაზოგადოებები, უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ნაკლებად ზრუნავენ წყალბურთის დანერგვა-განვითარებისთვის.

მომხსენებლისა და მოკამათეთა გამოსვლებში აშკარად იგრძნობოდა საყვედური ფედერაციის ძველი ხელმძღვანელობის მიმართ, რომელიც ნაკლებად აკონტროლებდა მწვრთნელების, ჯგუფების, სკოლების საქმიანობას, სათანადოდ ვერ იბრძოდა ამ სახეობის აღმავლობისთვის.

პლენუმმა აირჩია წყალბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა.

ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს „სახმშენის“ თავმჯდომარე **გ. მირიანაშვილი,** მოადგილეებად — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე **ზ. ლომიძე** და „გრუზსელხოზსტროის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი **მ. მგელაძე,** პასუხისმგებელ მდივნად — ფიზკულტურის ინსტიტუტის საწყლოსნო სახეობების კათედრის უფროსი მასწავლებელი **გ. ხუროშვილი.**



სურათებზე: აი, ასე გამოიყურება მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ფეხბურთის სტადიონი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## შედეგი გამოიღო

**ზესტაფონის** ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის საფარიკაო ბილიკებზე გამოცოცხლებაა — მწვრთნელებმა ვ. ბუხნიკაშვილმა, ა. ჭანტურიძემ და ო. აბაშიძემ სერიოზულად მოჰკიდეს ხელი სპორტსმენთა წვრთნას, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. გასულ სასწავლო წელს ზესტაფონის სპორტსკოლამ ორი სპორტის ოსტატობის კანდიდატი მოამზადა — ბ. ცერცვაძე და ა. ჯანგობეგოვი. მათ გარდა მომზადდა 5 პირველთანრიგოსანი მოფარიკავე.

ფარიკაობის ახალ დარბაზში ამას წინათ კიდევ ერთი შეჯიბრება ჩატარდა — მოსწავლეთა საქალაქო ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდნენ 1962-66 წლებში დაბადებული სპორტსმენები.

გოგონათა შორის გაიმარჯვა ი. ფრანგიშვილმა (1-ლი საშუალო სკოლა). რაპირისტ ვაჟთა შორის საუკეთესო იყო ა. ჯანგობეგოვი (1-ლი საშუალო სკოლა), ხმლით ბრძოლაში ყველას აჯობა გ. არაბიძემ (ქალაქის მე-3 საშუალო სკოლა), დაშნით — რ. ბარამიძემ (ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლა).

**ა. განუგრავა.**
**(ჩვენი კორ.).**

ზესტაფონი.

## 125 მოჭიდავის მონაწილეობით

**ჭიათურაში** დამთავრდა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა (1961-62 წ.) პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ბორჯომის, სამტრედიის, რუსთავის, ზესტაფონისა და მასპინძელთა გუნდების 125 მოჭიდავე.

შეჯიბრების მიზანი იყო ნაკრები გუნდის დაკომპლექტება, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პროფკავშირთა პირველობაზე. ეს ასპარეზობა მარტის პირველ ნახევარში, კრივოი როგში ჩატარდება.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ჯ. სანიკიძე (ქუთაისი), თ. მაკაროვი (თბილისი), დ. ბიწაძე (ჭიათურა), გ. გულბათაშვილი, კ. ხარშილაძე, კ. კვიციანაძე (სამივე — თბილისი), გ. ლომიძე, თ. ჭუმბურიძე (ორივე — ჭიათურა), მ. თუშიშვილი, ზ. მანთაშოვი, ს. უთიაშვილი (სამივე — თბილისი) და დ. ხვედელიძე (ჭიათურა).

**გ. ბარჯაძე.**
**(ჩვენი კორ.).**

ჭიათურა.

# მუშკეტერთა ოლიმპიური დუელი

**მოსკოვში,** ლენინგრადის პროსპექტზე, ცსკა-ს ერთ-ერთ ახალ სპორტულ კომპლექსზე, რომელიც ოლიმპიურ სოფელს 20 კილომეტრითაა დაშორებული, ზუსტად 10 დღეს გაგრძელდება მუშკეტერთა ბრძოლები XXII თამაშების ოქროს მედლებისთვის.

ფარიკაობა თანამედროვე ოლიმპიადების ერთ-ერთი საინტერესო სახეობაა. პირველივე თამაშებში 4 ქვეყნის 15 ვაჟი მონაწილეობდა (ქალები მასში 1924 წლიდან ჩაებნენ). ტურნირი მასპინძლების — ბერძენი სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა. მათ 2 ოქროს მედალი მოიგეს: ი. გეორგიადისმა — დაშნით, ხოლო ლ. პირგოსმა — რაპირისტ მაესტროთა ტურნირში (მაშინ ათენში პირველობა ცალკე გაითამაშეს ფარიკაობის მასწავლებლებმა — პროფესიონალებმა). ეს იყო ბერძენი მუშკეტერების პირველი და უკანასკნელი წარმატება.

ოთხი წლის შემდეგ გამართულ ტურნირში, რომელშიც უკვე 11 ქვეყნის 165 მოფარიკავე ჩაება, ფრანგების უპირატესობა აშკარა იყო. რაპირით ჩემპიონი გახდა ე. გრავლოტა. ამის შემდეგ არ ყოფილა ოლიმპიადა, რომ ფრანგებს ამ სახეობაში რომელიმე ღირსების მედალი არ მოეპოვებინოთ.

თუ თვალს გადავავლებთ მოფარიკავეთა ოლიმპიური ასპარეზობების ისტორიას, აშკარად დავინახავთ ძველი კონტინენტის — ევროპის სპორტსმენების უპირატესობას. გამონაკლისი გახლდათ 1904 წლის თამაშები (მასში მხოლოდ 3 ქვეყნის 13 წარმომადგენელი გამოდიოდა), სადაც I და II ადგილები კუბისა და აშშ-ს სპორტსმენებმა მოიგეს. დანარჩენ შემთხვევებში 3-3 საუკეთესო გუნდი ევროპის კონტინენტიდან იყო. იტალიელებმა 1920 წლიდან მოყოლებული 6 თამაშებში სძლიეს მეტოქეებს, ფრანგებმა კი კიდევ 2-ჯერ გამოიჩინეს თავი.

საბჭოთა ნაკრებმა ყველაზე დიდი გამარჯვება 1960 წელს, მათთვის რიგით მესამე, რომის ოლიმპიადაში მოიპოვა — საერთო პირველობა მოიგო. ეს წარმატება ჩვენმა მუშკეტერებმა 1964 წელს ტოკიოსა და 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზეც გაიმეორეს.

საბჭოთა მოფარიკავეებმა სამივე თამაშებში მეორე ადგილზე დატოვეს უნგრელები, რომლებსაც მუდამ ექსტრა-კლასის სპორტსმენები ჰყავდათ (საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამ ქვეყნის წარმომადგენლები თამაშებში 1900 წლიდან გამოდიან, 1908 წელს გუნდური II ადგილი მოიგეს, 1912-ში ჩემპიონები გახდნენ, 1920 წლიდან კი არც ერთი თამაშები არ გამართულა, სადაც ისინი არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილების მიღმა დარჩენილიყვნენ, მიუნხენის თამაშებში კი კვლავ ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე).

მიუნხენში ჩვენი გუნდი სწორედ უნგრეთის კოლექტივს ჩამორჩა და II ადგილს დასჯერდა, მაგრამ მონრეალში საბჭოთა მუშკეტერებმა დაიბრუნეს წამყვანი პოზიციები.

მონაწილეთა რაოდენობით სარეკორდო რომის ოლიმპიადა გახლდათ. მაშინ 42 ქვეყნის 268 მოფარიკავე ცდიდა ძალას, რომელთა შორის 78 ქალი იყო (ესეც სარეკორდო რიცხვია).

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მოსკოვში საასპარეზოდ კიდევ უფრო მეტი მოფარიკავე ჩამოვა (45 ქვეყნის 320 სპორტსმენს მოელიან), ამიტომაც ტურნირის განრიგი 10 დღეზეა გაანგარიშებული. ფეხბურთის მანეჟი (124X84 მ. სიმაღლე 15 მ), რომლის ტრიბუნები 5000 მაყურებელს იტევს, 15 საფარიკაო ბილიკზე პირველ ბრძოლებს 22 ივლისს რაპირისტი ვაჟები დილიდანვე დაიწყებენ. ამ დღეს პირადი წინასწარი შეხვედრები ჩატარდება. **23 ივლისს** (დილით) ბრძოლებში ქალები ჩაებმებიან, ხოლო საღამოს ვაჟები მედლების პირველ კომპლექტს გაითამაშებენ რაპირისტთა ფინალურ შეხვედრებში. **24 ივლისს** დაიწყება ხმლით ფარიკაობა. საღამოს ქალებში გაირკვევა ყველა ადგილის მფლობელის ვინაობა და ამით მათი პირადი ტურნირიც დასრულდება.

ასპარეზობის **მეოთხე** დღე 9-დან 17 საათამდე რაპირისტი ვაჟების გუნდურ შეჯიბრებას დაეთმობა, ხოლო 19 საათიდან გაირკვევა ხმლით მოფარიკავეთა შორის უძლიერესნი და ა. შ.

**31 ივლისს** ჩატარდება დაშნით გუნდური ასპარეზობის უკანასკნელი ბრძოლები და ტურნირი საზეიმოდ დაიხურება.

მაყურებელთა უკეთ მომსახურებისთვის ყველა საფარიკაო ბილიკზე დაიდგმება სადემონსტრაციო დაფა, დარბაზში დიდი ელექტროსაინფორმაციო ტაბლოც მოეწყობა. იგი მოსკოვის ოლიმპიადისთვის სპეციალურად დაამზადა უნგრეთის გაერთიანება „ელექტროიმპექსმა“.

ისე როგორც წინა თამაშებში, მოსკოვშიც ყველა ქვეყანას უფლება ექნება 16-კაციანი გუნდით ჩამოვიდეს — ყოველი სახეობის პირად ტურნირში 3-3 სპორტსმენი გამოიყვანოს.

შეგახსენებთ, რომ, აქამდე მედლების ყველაზე უხვი მოსავალი მოიმკეს იტალიელებმა, რომლებიც თამაშებში 1900 წლიდან მონაწილეობენ. მათ პირველი ჯილდო (ოქროს მედალი) 1912 წელს მიიღეს და აქედან მოყოლებული ოლიმპიური ჯილდოების რიცხვი 70-მდე აიყვანეს (მათ შორის 22 ოქროს მედალია).

ამ მხრივ იტალიელთა ყველაზე მთავარი მეტოქენი არიან საბჭოთა საფარიკაო სკოლის წარმომადგენლები.

**მ. წერეთელი.**

* * *

**სურათებზე: საბჭოთა კავშირის მოფარიკავეთა ნაკრებს სათავეში ჩაუდგებიან მრავალნაცადი მუშკეტერები, გასული ოლიმპიადის ჩემპიონები ე. ბელოვა (მარცხნივ) და ვ. კროვოპუსკოვი.**





ფეხბურთი

# წესრიგს არღვევენ... სეზონის დაწყებამდე

## გაფრთხილებები, გაქვევები — „გაზაფხულის“ ტურნირებში

1979 წლის ოფიციალური საფეხბურთო სეზონი ჩვენს ქვეყანაში 28 თებერვალს იწყება სსრ კავშირის თასის გათამაშებით, მაგრამ უკვე კარგა ხანია ოსტატთა გუნდები ჩვენი ქვეყნის სამხრეთის ქალაქებში მონაწილეობენ საწვრთნელ მატჩებში, „გაზაფხულის“ ტურნირებში, რომლებიც ორგანიზებულია სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მიერ.

გამოქვეყნებული იყო მთელი რიგი მატჩების შედეგები. ახლახან გაიმართა მორიგი შეხვედრები: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:2, „სკა“ (დონის როსტოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:2, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 2:0, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „არარატი“ (ერევანი) 3:2, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 4:2, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 0:1.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა ნ. შიშოვმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

— ეს არც ჩემპიონატისა და არც თასის გათამაშების მატჩებია, მაგრამ უკვე ახლა შეშფოთებას იწვევს ზოგიერთი ფეხბურთელის საქციელი მინდორზე. მაგალითად, დონეცკის „შახტიორის“ მოთამაშე ზვიაგინცევი როსტოვის არმიელებთან მატჩში მინდვრიდან გააძევეს უკვე მეხუთე წუთზე. მაგრამ მან არ ისურვა მინდვრის დატოვება მწვრთნელებისა და მოთამაშეთა ჩარევის შემდეგაც კი და გა[illegible]ნაგრძობდა „ანჟარიშის“ [illegible] არბიტრებთან. [illegible] სა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვედრაში [illegible] ტორპედოელი წერეთელი.

ჩატარებული მატჩების ოქმებში მრავლადაა ჩაწერილი გაფრთხილებები, ამასთან დამრღვევთა შორის ვხვდებით ძველ ნაცნობებსაც. დონეცკელმა სტაროხინმა, მაგალითად, თავს უფლება მისცა დემონსტრაციულად არ დათანხმებოდა მსაჯის გადაწყვეტილებას, ის კი შარშან დისკვალიფიცირებული იყო 3 მატჩით ორჯერ მიღებული გაფრთხილებისთვის. გაფრთხილებულთა შორის ვხვდებით ლიხოშერსტნიხს და შადიევს (ორივე — „ქაირათი“), ბონდარენკოს, პეტროსიანს და კასაბოლლიანს (სამივე — „არარატი“), მალიშენკოს („ზარია“), შევჩენკოს („ჩერნომორეცი“), ზურკინს და ბერდიევს (ორივე — როსტოვის ასკ)...

სპორტტექნიკურ კომისიას განზრახული აქვს უკვე ახლავე მიიღოს უმკაცრესი ზომები წესრიგის დამრღვევთა მიმართ. კომისიის პირველივე სხდომაზე გუნდების ხელმძღვანელებთან ერთად გამოძახებული არიან ზვიაგინცევი და წერეთელი.

## სანჩესის ოთხი გოლი

**ნიუ-იორკი.** მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებმა, რომლებიც ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებს ატარებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სან-დიეგოში განიცადეს მარცხი ადგილობრივ „სან-დიეგო სოკერსისგან“ 2:5 (1:3). გამარჯვებულთაგან 4 ბურთი გაიტანა მექსიკის ნაკრების თავდამსხმელმა სანჩესმა, რომელიც ამ კლუბში გამოდის.

# მკითხველი მხარს უჭერს

სარედაქციო ფოსტა

ა. წ. 27 იანვარს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი „საქმეს ახლავე შევუდგეთ“, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი.

ფეხბურთის მოყვარულები ახლავე, სანამ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა წინასასეზონო სამზადისი მიმდინარეობს, აყენებენ საკითხს იმის თაობაზე, რომ საქართველოს სტადიონებზე საჭიროა დამყარდეს სრული წესრიგი და დისციპლინა, მაყურებლებმა უნდა შეძლონ თავიანთ ემოციებს მისცენ დასაშვები, ნორმირებული ფორმები. არავინაა წინააღმდეგი, რომ ტრიბუნაზე მჯდომმა გულშემატკივარმა ქომაგობა გაუწიოს გუნდს, რომლის მიმართაც სიმპათიითაა გამსჭვალული, თუ კი დაცული იქნა ზომიერების ფარგლები.

მართალია, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონმა შარშან მოიპოვა მეტად საპატიო პრიზი — „გუნდთან ერთად“, მაგრამ რა დასამალია, რომ იყო შემთხვევები, როცა გულშემატკივართა ცალკეული ჯგუფები არღვევდნენ დისციპლინას, ტრიბუნები დანაგვიანებულია სიგარეტის ნამწვავებით, მზესუმზირის ჩენჩით, პროგრამისა და გაზეთების ნახევებით. ზოგიერთებმა ვერ მოიშალეს ჩვეულება ზემო რიგებიდან წარამარა სარბენ ბილიკებზე აფრინონ ქაღალდის მტრედები. ყველაფერი ეს ერთობ უსიამო შთაბეჭდილებას ტოვებს.

ფეხბურთის მოყვარულებმა ზემოაღნიშნულ წერილში წამოაყენეს წინადადება, გამოშვებული იქნას მცირე ზომის ალმები „დინამოს“ ემბლემით, ვიმპელები, სხვადასხვა სახის სუვენირები. ამ წინადადებას ბევრი მკითხველი უჭერს მხარს. აი, მაგალითად, რას გვწერს აჭარიდან ქედის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე **დათო გათენაძე:** „წავიკითხე რა 27 იანვარს „ლელოში“ დაბეჭდილი სტატია „საქმეს ახლავე შევუდგეთ!“, დამებადა აზრი, გამეცნო ეს წერილი მთელი კლასისთვის. წავიკითხეთ და ყველამ მოვიწონეთ შეხედულება, რომ ურიგო არ იქნება თუ გულშემატკივარი იმღერებს ჰიმნს „დინამოზე“, როგორც ეს ბევრი თანამედროვე გამოჩენილი უცხოური კლუბის ქომაგების პრაქტიკაშია დანერგილი. განა სასიამოვნო არ იყო, როცა ვუყურებდით არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატს? ათასობით ლოზუნგი, დროშები, ჰიმნი! ეს საზეიმო ელფერსაც აძლევდა ჩემპიონატს და აღაფრთოვანებდა ფეხბურთელებს საბრძოლველად“.

ჩვენ გვახსოვს რა მადლიერი იყვნენ თბილისელი მაყურებლისა სსრ კავშირის ნაკრების და მოსკოვის „დინამოს“ ხელმძღვანელებიც და ფეხბურთელებიც, როცა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ ოფიციალურ საერთაშორისო მატჩებში მათი გუნდები ენერგიულ მხარდაჭერას გრძნობდნენ ტრიბუნებიდან. მაშინ არც წესრიგი დარღვეულა, არც უხამსი საქციელი ჩაუდენია ვინმეს: უბრალოდ — ვისი მოგებაც უნდოდათ, იმას ქომაგობდნენ.

იმავე ქედის საშუალო სკოლის მოსწავლეები **ჯ. ბეჟანიძე, მ. გათენაძე, თ. დიასამიძე, ნ. გორგილაძე, მ. დუმბაძე** გვწერენ: „კარგი იქნება, თუ ვინმე ცნობილი ჩვენი კომპოზიტორი ხელს მოკიდებს და შექმნის სპეციალურ ჰიმნს თბილისის „დინამოსთვის“.

ქედელი მოსწავლეები გამონაკლისს არ წარმოადგენენ. რედაქციაში მრავლად მოდის წერილები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან, რომელთა ავტორებსაც სურთ გუნდის გულშემატკივრობა სტადიონებზე ხდებოდეს ორგანიზებულად, მისაღებ ფორმებში, ლამაზად. ერთ-ერთი ასეთი წერილი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტების **ზურაბ მაისურაძის, გოჩა გიგიბერიას, გია მუმლაძის, გია პეტრიაშვილის, დალი ჯვარშეიშვილის, როინ გორგაძის, ნანი პეტრიაშვილის, დათო ბაქრაძის და ლამარა არჩვაძის** მიერაა ხელმოწერილი:

„წავიკითხეთ სტატია „საქმეს ახლავე შევუდგეთ“ და მხარს ვუჭერთ მასში გამოთქმულ მოსაზრებას. ძალიან გვსურს თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართათვის დიდი ტირაჟით დამზადდეს სპეციალური დროშები, სამკერდე ნიშნები, ვიმპელები, სხვა სუვენირები. ვფიქრობთ, არც თვით დინამოელი მწვრთნელები და ფეხბურთელები იქნებიან იმის წინააღმდეგი, რომ მათს გულშემატკივრებს ლამაზი დროშები ეჭიროთ ხელთ. მაშინ უხამსი სიტყვებიც ნაკლები იქნება ტრიბუნებიდან და ქაღალდის მტრედების კორიანტელიც“.

# თბილისელების 6 პირველი ადგილი

**თბილისში,** საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშება 1964-65 წლებში დაბადებულ მოცურავეთათვის. შეჯიბრებაში 18 გუნდი მონაწილეობდა.

გუნდურ პირველობაში ყველას აჯობა ვოროშილოვგრადელთა კოლექტივმა (1227 ქულა), მეორე იყო როსტოვის (1204), ხოლო მესამე — ლვოვის გუნდი (1134). თბილისელმა ნორჩებმა VII ადგილი დაიკავეს (842).

ასპარეზობაში თბილისელმა სპორტსმენებმა ექვსი I ადგილი დაიკავეს. 1964 წელს დაბადებულთა შორის თბილისელთაგან გაიმარჯვეს მ. დანელიშვილმა და ი. აზმაიფარაშვილმა. პირველი საუკეთესო იყო 200, 400 და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (შესაბამისად 2.19,7, 4,54,7 და 10.00,4), ხოლო მეორე — 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (5.40,6).

აღსანიშნავია, რომ ორივე გოგონას შედეგები სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივებს აღემატება. დანელიშვილმა ასეთივე ნორმატივით II ადგილი დაიკავა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (1.05,2), ხოლო აზმაიფარაშვილის ანგარიშზე კიდევ სამი II ადგილია — 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით (შესაბამისად 1.13,5 და 2.42,8), აგრეთვე, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (4.57,4). ამ ასაკის სპორტსმენებიდან თბილისელმა მოცურავეებმა კიდევ ორი საპრიზო ადგილი მოიპოვეს — ვ. მახარობლიძე მესამე იყო ბიჭებს შორის 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.29,8), ასევე III ადგილი დაიკავა ქ. კიკაბიძემ გოგონათა შორის 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში (1.15,4).

1965 წელს დაბადებულთა შორის ჩვენი სპორტსმენებიდან საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიკავა ი. გურევმა — ბიჭებს შორის 100 და 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში (1.16,7 და 2.48,1). მანვე III ადგილი მოიპოვა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.33,6). მესამე იყო, აგრეთვე, მისი თანაგუნდელი ო. კორპუნენკო — 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (2.14,8), ხოლო 1500 მეტრზე ერთი საფეხურით წინ წაიწია (18.16,3).

როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა კ. პოტაპოვმა გვითხრა, თბილისელ მოცურავეთა შედეგები საგრძნობლად ამაღლდა შარშანდელი სეზონის მიწურულს გამართულ ასეთსავე ასპარეზობასთან შედარებით. ეს შეჯიბრება კი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე საკავშირო ასპარეზობისთვის გენერალური რეპეტიცია გახლდათ დინამოელი სპორტსმენებისთვის. „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზის გათამაშება 25 მარტს დაიწყება.

**ნ. ხოშტარია.**

## „ფედერაციის თასზე“

მადრიდი. 1979 წლის ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის — „ფედერაციის თასის“ გათამაშებაში საბჭოთა ჩოგბურთელები თავიანთ პირველ მატჩს პორტუგალიის ნაკრებთან გამართავენ. ეს ცხადი გახდა ესპანეთის დედაქალაქში გამართული კენჭისყრის შემდეგ. აქვე 30 აპრილიდან 6 მაისის ჩათვლით გაიმართება ეს ტურნირი.

საპატიო პრიზს გაითამაშებენ 32 ქვეყნის სპორტსმენები.

(საკდესი).

## მძლეოსნურ მერიდიანზე

ბერლინის ზამთრის სტადიონზე გამართული გდრ-ისა და სსრ კავშირის იუნიორთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი სტუმრებმა მოიგეს — 108:101. 17 წლის ლენინგრადელმა მოსწავლემ მ. სერკოვამ, რომელმაც ამას წინათ ქვეყნის უმაღლესი მიღწევა დაამყარა, აქ 190 სმ სიმაღლე დაძლია და პირველობა მოიგო. ორი გამარჯვება იზეიმა ს. ოიამ (პიარნუ). ესტონელმა გოგონამ ჯერ 50 მ თარჯრბენში გაიმარჯვა — 7,23, მერე სიგრძეზე ყველაზე შორს (613 სმ) გადახტა. 18 წლის კიეველმა ი. შევჩენკომ 221 სმ სიმაღლე დაძლია, ხოლო მოსკოველმა ვ. პოლიაკოვმა ჭოკით 530 სმ გადალახა. ომსკელმა ლ. ბრუკმა მოიგო 1500 მეტრზე რბენა. — 3.49,2.

მასპინძლებიდან აღსანიშნავია მ. ემელმანის გამარჯვება 50 მეტრზე იუნიორთა შეჯიბრებაში — 5,89 და ა. ბერიერისა (სამხტომში) — 15,52 მ. 800 მეტრზე ბადალი არ ჰყავდა ე. ბრუდელს (გდრ) — 2.09,8.

ჰელსინკთან ახლოს, ოტანიემის დარბაზში ორ დღეს გაგრძელდა ფინეთის მძლეოსანთა ზამთრის პირველობა, რომელსაც კონტინენტის ჩემპიონატისთვის ქვეყნის ნაკრების წევრები უნდა შეერჩია. ტ. ხაპაკოსკიმ ჭოკით 540 სმ დაძლია. ა. იკონენი 748 სმ სიგრძეზე გადახტა. სიმაღლეზე ხტომა მოიგო ს. ხაეისტომ — 214 სმ. ქალთა შორის 60 მეტრზე თარჯრბენში ფინეთის რეკორდი დაამყარა ლ. სპოფმა — 8,47.

## ზ. დ. ბარათაშვილი

ვეტერან სპორტსმენთა რიგებს გამოაკლდა ქ. ჭიათურის სპორტკომბინატ „მაღაროელის“ დირექტორი ზურაბ დავითის ძე ბარათაშვილი.

ზ. ბარათაშვილი დაიბადა 1928 წელს ჭიათურაში, 1947 წელს დაამთავრა მაშინდელი ფეხბურთელთა სამჭედლო — თბილისის 35-ე საშუალო სკოლა და როგორც ნიჭიერი მოთამაშე ჩაირიცხა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის შემადგენლობაში. შემდეგი წლების მანძილზე ეწეოდა ფეხბურთის მწვრთნელის რთულ და საპატიო საქმიანობას, სპორტულ მუშაობას უთავსებდა სწავლას. 1958 წელს დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

წითელწყაროელ სპორტის მოყვარულებს ახლაც ახსოვთ ზ. ბარათაშვილი, რომლის ინერგიული შრომითაც გუნდი „შირაქი“ მესამე ჯგუფიდან გადავიდა მეორეში, იმავე წელს აიღო პირველი ადგილი, მომდევნო წელს კი რესპუბლიკის ჩემპიონატში III საპატიო ადგილი დაიკავა.

1953 წლიდან ზ. ბარათაშვილი მუშაობდა ჭიათურის „მაღაროელის“ მწვრთნელად. აქაც, პირველსავე წელს, გუნდი მესამიდან ჯერ მეორე ჯგუფში გადავიდა, ხოლო შემდეგ პირველში დაიმკვიდრა ადგილი, გამოდიოდა მეორე ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშებაში, ფლობდა შ. შავგულიძის სახელობის თასს.

1968-1975 წლებში ზ. ბარათაშვილი მუშაობდა ჭიათურის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილედ. სპეტაკი მოქალაქის, შრომისმოყვარე, პრინციპული, გულისხმიერი ადამიანისა და საქმიანი სპეციალისტის — ზ. ბარათაშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ იქნება მისი ახლობლებისა და აღზრდილების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.



დოსააფის სპორტსმენთა შორის ყველაზე პოპულარული სახეობებია სპიდვეი და ავტომობილებით რბოლა. ყინულზე მოტორბოლაში შესანიშნავ სპორტსმენებს ამზადებს ჩიტის კლუბი, სადაც აღიზარდა შემდგომში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ს. ტარაბანკოვი. ავტოსპორტმა კი ერთობ დიდი პოპულარობა მოიპოვა ყირგიზეთში. აქ ათობით ათასი თანრიგოსანი აღიზარდა.

სურათებზე: ყინულის ვირაჟზე არიან ბაიკალსიქითა მრბოლელები; ფრუნზელი ავტომრბოლელები ბ. დავიდენკო და ა. მოროზოვი ავტორალის ტრასაზე.

საკდესის ფოტოები.

## კილანინის აზრით

კონტონუ. „1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშები, ეჭვგარეშეა, წარმატებით ჩატარდება. ამისთვის სსრ კავშირის დედაქალაქში ყველა პირობაა შექმნილი, მათ შორის ბრწყინვალე სპორტული ნაგებობები“ — განაცხადა ბენინის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტით ჩასულმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა. იგი მოგზაურობს აფრიკის ქვეყნებში, რათა გაეცნოს ამ სახელმწიფოებში სპორტის განვითარებასა და მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის მათს მზადებას.

კილანინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხრეთ აფრიკისა და როდეზიის რასისტულ რეჟიმებს დაკეტილი აქვთ ამ უდიდესი საერთაშორისო შეხვედრისკენ მიმავალი გზა.

სოკ-ის პრეზიდენტმა ილაპარაკა აფრიკის კონტინენტის სპორტსმენთა პერსპექტივებზე მომავალ თამაშებში. აფრიკელი სპორტსმენები, თქვა მან, უეჭველად წარმატებით იასპარეზებენ.

## მესამედ

სამტრედიის რაიონის პირველობაში 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა. როგორც მოსალოდნელი იყო, უძლიერესის სახელი მესამედ მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა მ. არჩვაძემ (9 ქულა), რომელსაც საქართველოს პირველობის I ლიგაში თამაშის უფლება აქვს.

II-III ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატმა ნ. ლეკვეიშვილმა და ბ. ჩხაიძემ — 7,5-7,5. IV ადგილზეა ბ. შალიაპინი — 7.

ი. ნიკოლეიშვილი.
(ჩვენი კორ.).

## ახალი ჩემპიონი

დამთავრდა თბილისის ქალთა პირველობა 64-უჯრიან შაშში, რომელშიც 14 მონაწილე იყო.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა ნანა კაზაროვამ — 11,5 ქულა. ამდენივე ქულა დააგროვა მ. ბაქრაძემ, მაგრამ მას კოეფიციენტთა ცხრილით უარესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა. III იყო ნ. აგლაძე — 10,5, IV — ი. ძოძიშვილი — 10.

ოთხივე მოშაშემ დაიმსახურა საქართველოს ქალთა პირველობაში თამაშის უფლება.

ზ. სვანიშვილი.

## ყველა ნაცნობი სახელი

გორკში დამთავრდა „მფრინავ მოთხილამურეთა“ საკავშირო ჩემპიონატი 70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. ბოროვიტინმა („დინამო“, გორკი) ორივე ცდაზე ყველაზე შორს იფრინა და 252,4 ქულით (ნახტომები — 80 და 80,5 მ) ოქროს მედალი მოიგო. მომდევნო ადგილები ერგოთ ვ. სავინს („დინამო“, ლვოვი) — 250,8 (79,5 და 80) და ი. ივანოვს („სპარტაკი“, პეტროზავოდსკი) — 248,5 (79 და 80 მ).

## ბრაუნი ჩივის

მსოფლიოს ჩემპიონ მუჰამედ ალის მწვრთნელმა ბრაუნმა სასამართლოში უჩივლა ერთ იაპონურ მოტოციკლების კონცერნს იმის გამო, რომ მან სარეკლამო მიზნებით გამოიყენა განთქმული მოკრივის სახელი, თუმცა საამისო ნებართვა არა ჰქონდა.

როგორც სპორტული პრესა იუწყება, ბრაუნს უკვე მოგებული აქვს ორი ასეთი პროცესი სხვადასხვა კონცერნების წინააღმდეგ, რომლებიც ძალიან ხშირად ეტმასნებიან მუჰამედ ალის.

## დაჩრდილა თვით სხენკის დიდება

და-ძმა ჰეიდენებს განზრახული აქვთ ლეიკ-პლესიდის ოლიმპიურ თამაშებში გასათამაშებელი 9 ოქროს მედლიდან მოიგონ 6. ამის შესახებ მათ განუცხადეს უცხოეთის სააგენტოების ჟურნალისტებს. ვისკონსინის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტს, 20 წლის ერიკს სურს სპორტული ექიმი გახდეს, ხოლო 19 წლის ბეტს — მშენებელი ინჟინერი. მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ჯერჯერობით კი ისინი ეცდებიან 1980 წლის თეთრ ოლიმპიადაში გამარჯვებას.

ერიკის (სიმაღლე — 182 სმ) გვერდით ბეტი (სიმაღლე — 156 სმ, წონა — 45 კგ) მინიატურული ჩანს. მაგრამ... როცა უყურებ თუ როგორ მიაპობს ყინულს ელიზაბეტი თავისი პატარა, მაგრამ სწრაფი ნაბიჯებით, ამ სპორტსმენის ნებისყოფა აღფრთოვანებას იწვევს.

ამერიკელი მოციგურავის ერიკ ჰეიდენის წარმატებებმა დაჩრდილა თვით ჰოლანდიელი „ყინულის მეფის“ არდ სხენკის (რომელმაც 1972 წელს საპოროში სამი ოქროს მედალი დაისაკუთრა) დიდება. 1972 წელს სპრინტერთა პირველ მსოფლიოს ჩემპიონატში ჰოლანდიელმა სპორტსმენმა მხოლოდ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო ერიკ ჰეიდენი ორჯერ (1977 და 1978 წლებში) გახდა მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენი.

უკვე ზედიზედ მესამე წელია ერიკ ჰეიდენი იმარჯვებს ყველა დისტანციაზე, დაწყებული 500-დან 10000 მეტრამდე. ძნელია წარმოიდგინო ასეთი „ჰეიდენი“ მძლეოსნობაში: მან 400 მეტრი კუბელი ხუანტორენასავით უნდა დაფაროს, ხოლო სტაიერული მანძილი — ფინელი ვირენივით.

თვითონ ერიკი, როგორც ეს ამერიკელ „ვარსკვლავებს“ სჩვევიათ, ხმამაღლა აცხადებს: „რატომ ვიმარჯვებ? იმიტომ, რომ სხვებს ვჯობივარ“.

ადრე ოლიმპიური ჩემპიონის შ. იანგისთვის წარმატების მისაღწევად ნაცადი საშუალება იყო ველოსიპედი: ზაფხულობით ფორმას ინარჩუნებდა, თანაც იმარჯვებდა მსოფლიოს ჩემპიონატებში... საგზატკეცილო ველორბოლაში. ახალგაზრდა ჰეიდენებიც მისდევენ ამ „რეცეპტს“. ბეტი უკვე იყო აშშ-ის ჩემპიონი გოგონათა შორის საგზატკეცილო რბოლაში. ამას გარდა, იგი ბრწყინვალედ თამაშობს ჩოგბურთს. ერიკიც საუკეთესო ველომბროლელია. სპორტის ამ სახეობით დიდი გატაცების შემთხვევაში, იგი უეჭველად საერთაშორისო აღიარებას მოიპოვებდა. მაგრამ უფრო სიამოვნებით თამაშობს ჩოგბურთს და გატაცებით — ჰოკეის. ჰეიდენების მამა, რომელიც თან დაჰყვება შვილებს შეჯიბრებებში, მათს მიდრეკილებას ანვითარებს წმინდა ამერიკული საქმიანობით. იგი კმაყოფილია: ბავშვები წარმატებით აგროვებენ პოპულარობის კაპიტალს, რაც, ალბათ მომავალში გამოადგებათ.

* * *

როგორც ცნობილია, ახლახან ინცელში ერიკ ჰეიდენმა კვლავ მიაღწია დიდ წარმატებას — სპრინტერულ მრავალჭიდში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ბეტი ჰეიდენი მცირე „ოქროს“ დაეპატრონა 1000 მეტრზე ასპარეზობაში, მრავალჭიდში კი — „ვერცხლს“.

## «სპორტლოტო»

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები საერთაშორისო ოლიმპიური „სპორტლოტოს“ მესამე ტირაჟისა, რომელიც 14 თებერვალს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მოეწყო.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 9227 მანეთია (71 ბარათი), ოთხისთვის — 165 (4442 ბარათი), სამისთვის — 8 (98697).

ფულადი მოგებების ანაზღაურება და ოლიმპიადა-80-ის ტურისტული საგზურების გაფორმება იწარმოებს 1979 წლის 25 თებერვლიდან 25 მარტის ჩათვლით.

საერთაშორისო ოლიმპიური „სპორტლოტოს“ მეოთხე ტირაჟი მოეწყობა 1979 წლის 16 მაისს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში.

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მეშვიდე ტირაჟებისა.

„სპორტლოტო“ 6—49-დან:

პირველი: ექვსი და ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრები ვერავინ გამოიცნო; ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (26 ბარათი) მოგება 2769 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 46 ბარათი) — 73, ოთხისთვის (1623 ბარათი) — 48, სამისთვის (30096 ბარათი) — 3.

მეორე: ექვსი და ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრები აქაც ვერავინ გამოიცნო; ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (16 ბარათი) მოგება 2118 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 30 ბარათი) — 67, ოთხისთვის (848 ბარათი) — 42, სამისთვის (14328 ბარათი) — 3.

„სპორტლოტო“ 5—36-დან:

პირველი: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (6 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1433 ბარათი) — 92, სამისთვის (35547 ბარათი) — 4.

მეორე: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (1 ბარათი) მოგება აქაც 10000 მანეთია, ოთხისთვის (536 ბარათი) — 334, სამისთვის (42365 ბარათი) — 6.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 28 თებერვლიდან 28 მარტის ჩათვლით.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს მძლეოსნობის სასახლეში (წერეთლის გამზ. № 95-ა).

25 თებერვალს

ტარდება შეჯიბრება მძლეოსნობაში საქართველოს პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა შორის,

26, 27, 28 თებერვალს

ამავე სასახლეში ჩატარდება სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში.

დასაწყისი 11 საათზე.

რედაქტორი ა. გასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; კადრების — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. ᲡᲓ 02042